განმარტებითი ბარათი

ონის მუნიციპალიტეტის 2025 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ

ონის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტში საჭიროა მოხდეს შემდეგი სახის ცვლილება.

1) გაიზარდოს როგორ შემოსულობები, ასევე გადასახდელები 151 056,81 ლარით, კერძოდ:

ა) გაზრდილი იქნას „ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 30/09/2025 წლის N1604 განკარგულებით საჯარო სკოლების გათბობის უზრუნველყოფისათვის 91 180 ლარით და საჯარო სკოლების რეაბილიტაციისათვის 80 971,81 ლარით.

ბ) შემცირებული იქნას დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით „პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის“ განხორციელებისთვის დაგეგმილი 20 520 ლარით და ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დაფინანსება 575 ლარით.

2) შევიდეს ცვლილება შემოსულობებში, სხვა შემოსავლების გეგმაში შემცირდეს პროცენტის გეგმა 30 000 ლარით და გაიზარდოს სანებართვო მოსაკრებლების გეგმა.

3) შემცირებული იქნას ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბაღების გაერთიანების სუბსიდია 180 000 ლარით და გაიზარდოს: ა) საზედამხედველო მომსახურება 80 000 ლარით, ბ) გარე განათების ელ.ენერგიის ხარჯი 30 000 ლარით, გ) წარმატებული სტუდენტების დახმარება 8 000 ლარით, დ) ბალანსზე რიცხული შენობების აბონენტად აყვანის ხარჯი 5 200 ლარით, ე) ავადმყოფთა სოციალური დახმარება 10 138 ლარით, ვ) ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის დაფინანსების თანხა 3 982 ლარი, ზ) ა(ა)იპ საჭიდაო სკოლის სუბსიდია 10 000 ლარით და თ) ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯი გაიზარდოს 7 680 ლარით, ა(ა)იპ „რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სარაგბო კლუბი ამარანტები“ს დაფინანსება 25 000 ლარით.

4) გადატანილი იქნას, ფუნქციონალური და ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით მუნიციპალიტეტის მერის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხა, ქ.ონში ს.ს "საჩხერის რაიონული საავადმყოფო პოლიკლინიკური გაერთიანება" ფილიალის შემოღობვის, გზისა და დრენაჟის მოწყობის სამუშაოებზე 65 853 ლარი; ონის მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა ღებში მდინარე ლათქიშორას, სასმელი წყლის სათავისა და შიდა გზების შეკეთებაზე 15 667 ლარი.

ონის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტმა შეადგინა 26 643 006 ლარი.

პროექტი შეადგინა: თ. ბროლაშვილი

შემსრულებელი: ნ. მეტრეველი